



არჩევნები 2016

წინასაარჩევნოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების გადაცემების წინასაარჩევნო ფორმატებში „მთავარი“, და „ინტერვიუ“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების კვალიფიციური პარტიები მონაწილეობას წინასწარი კენჭისყრის შედეგად განსაზღვრული თანამიმდევრობით [იღებენ](#).

საზოგადოებრივი მაუწყებელი ყველა კვალიფიციურ სუბიექტს დამატებით სთავაზობს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიის პრეზენტაციას შემდეგი წესით:

იმ დღეს, როდესაც კვალიფიციურ სუბიექტს კენჭისყრის შედეგების მიხედვით ეკუთვნის ეთერი გადაცემაში „მთავარი“ ან „ინტერვიუ“ შესაძლებლობა ეძლევა 21:00 საათიდან გაშუქდეს პარტიის სიის პრეზენტაცია, ხოლო პარტიის წარმომადგენელი სტუმრად იქნება გადაცემაში „მთავარი“ ან „ინტერვიუ“. ამრიგად თითოეულ პარტიას პრეზენტაციისათვის დაეთმობა 30 წუთი.

იმ კვალიფიციურ სუბიექტებს, რომლებიც უკვე იყვნენ სტუმრად აღნიშნულ გადაცემებში სიის პრეზენტაციისათვის დაეთმობათ ეთერი (30 წუთი) რომელიმე სხვა დღეს ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით (როდესაც კენჭისყრით განსაზღვრული თანამიმდევრობით რომელიმე სხვა პარტიის სიის პრეზენტაცია არ იქნება დაგეგმილი).

დამატებით გაცნობებთ, რომ პრეზენტაციის სიგნალის მოწოდებაზე პასუხისმგებელია პარტია. ასევე გთხოვთ, აღნიშნული შესაძლებლობის გამოყენების სურვილის შემთხვევაში საზოგადოებრივ მაუწყებელს აცნობოთ არაუგვიანეს 15 სექტემბრისა, ელექტრონული ფოსტის მისამართზე archevnebi@gpb.ge შემოთავაზება ძალაშია 1 ოქტომბრამდე.